აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

29 ივნისი, 2013

დადგენილება №107 (12/13)
ხელშეკრულების საფუძველზე და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების დატვირთვის დიაპაზონისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 ივნისის დადგენილება № 91(11/12) 2012-2013 სასწავლო წლისათვის ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტების დატვირთვის დიაპაზონისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ.
2. ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის, შესაბამისი დარგის სპეციალისტის წლიური სახელფასო ანაზღაურება განისაზღვროს შესრულებული სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური სამუშაოს შესაბამისი საათების (გეგმიური და ფაქტობრივი) მიხედვით.
3. ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტის თვიური სახელფასო ანაზღაურება განისაზღვროს 450,0 ლარის (აკადემიური ხარისხის მქონე პირებისათვის) და 375,0 ლარის (აკადემიური ხარისხის არმქონე პირებისათვის) ოდენობით.
4. ლექცია-პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებელი საათების მინიმალური სავალდებულო ნორმა ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტისათვის განისაზღვროს - 240 საათის (აკადემიური ხარისხის მქონე პირებისათვის) ან 320 საათის (აკადემიური ხარისხის არმქონე პირებისათვის) ოდენობით.
5. იმ პირებს, რომლებიც მოწვეული იქნებიან უნივერსიტეტში მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით, დატვირთვის მოცულობა განესაზღვროთ არანაკლებ 200 საათისა (1 საათის ღირებულება არაუმეტეს 7,0 ლარისა (აკადემიური ხარისხის მქონე

პირებისათვის) და არაუმეტეს 5,0 ლარისა (აკადემიური ხარისხის არმქონე პირებისათვის)).

6. სპეციალისტის მოწვევის საკითხი შეთანხმდეს რექტორთან ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და სახელფასო ანაზღაურება განისაზღვროს ინდივიდუალური წესით.
7. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ცალკეული პირის (მ.შ. განსაკუთრებული რანგით) წლიური დატვირთვის მოცულობა და ანაზღაურების წესი (ამ დადგენილებით განსაზღვრული ნორმებისადმი პირდაპირი პროპორციის გათვალისწინებით) შეთანხმდეს რექტორთან ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.
8. ხელშეკრულება ფორმდება ერთი სასწავლო წლის ფარგლებში.
9. დადგენილება ამოქმედდეს 2013-2014 სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე